თეატრი

საოჯახო-კეთილი ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

13 ივლისი | გამოცემა | № 28 | კვირაობით | 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. კარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

რედაქცია სთხოვს იმ ხელის მომწერთა, რომელთაც დღემდისინ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული დაუჩქარონ და შეიტანონ 1 ივლისამდე, თორემ პირველის ივლისის შემდეგ გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

ცხოვრების თეატრი.

„ერთი და იგივე საგანი ზოგს ატირებს და ზოგს აცინებსო,“ ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი თავის „კვნა ადამიანში“ და მართალიც არის. ცხოვრების თეატრზედ დღე ისე გავა, რომ ამ ჭეშმარიტებას არ შეეფეთოს კაცი. მაგალითად. ამ დღეებში გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ტილიშუჭურას (არტემ ქამალოვის) სასტუმროში ჩხუბი მოხდარა და ერთს ახალგაზდა თავადიშვილს დ. ეიფეიანს ქამალოვი დუჭრიაო... რა თქმა უნდა, ეოველი წრეს გადასული საქციელი, ეოველი უზრდელი და თავხედი მოქმედება სათაკილოა ეველა გონებს გახსნილის კაცისათვის, მაგრამ არა ბაგოვის რომ სასიქადულო და საქები იყოს სიმართლის დაფარვა, ოვალების განზრახ ახვევა... თავ. დ. ეიფეიანი სამ ამხანაგებით ტილიშუჭურასთან შესულან საღილის საჭმელად და რადგან ღვინო არ მოსწონებიათ, ან რა მოსაწონია ხომ ანაზიანი ღვინო სამარადამს ჭაკვს, ვახვახოვის სარდაფიდან დაუბარებიათ; რა თქმა უნდა ეს ვერაფერად ბრიანებია არტემ ქამალიანცს და საღილის შემდეგ «ნაკაზათ უქნია» და დ. ეიფეიანისათვის 13 მ. ათი შაური წაუწუდგენია დანასარჯი!!! (ოთხი კაცის საღილი ულვინოთ და უსასმელოთ მარტო ეველი და ბური, სამი წვადი და ამდენიგე ჩიხირთმა—13 მ. 50 კაპ. სწორედ რომ დიდი თავხედობაა და უსინდისო ცარცვა.) მოდი და ამისთანა тилипучуринскій ანგარიშის შემდეგ, ნუ ეტყვი კაცს, რომ იგი უწესოდ იქცევა და ჯიბეში უსინდისოდ ხელს გიყოფს! ამ სიტყვებისათვის ქამალიანცს ეიფეიანისათვის ჩვეულებრივის კიდოთ შეუგურთხებია; . ასე ამ გვარად ნელ-ნელა აჭყოლიათ და ბოლოს საქმე იქამდინ მისულა, რომ დ. ეიფეიანი იძულებულ იქმნა თურმე თავის დასაცველად სანჯალი ამოეძრო. ამ დროს ბოლიციაც მოსულა და ეიფეიანს მაშინათვე გადუცია სანჯალი ბოლიციელი მოსეფესათვის ივანიეოვისათვის, მაგრამ ეიფეიანისაგან სანჯლის გადაცემა და ბრძანება: связать его! ერთი ეოფილა. ექვსი გოროდოვოი, ტილიშუჭურის ლაქიები (ან უგეთ რომ ვსთქვათ მამალ-ძმალ კისტრები) უცრ ბ ზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტემიან ყოფიანს და ერთს შეკრულს კატთან მუშტის კრივი გაუმართავთ. ამ დაჭკარ, Бей!-ს დროს ყოფიანს ჭრილობა უგრძნია და ყვირილს მოჭყოლია, მაგრამ აქ პოლიციელებს სკანდალის ბოლოს მოსალებად და მშვიდობიანობის დასამყარებლად მუჯლუგუნები უხმარნიათ... და ამის შემდეგ გაზ. „Кавказъ“-ი რაღაც ორ აზროვან ირონიით ამბობს: ეხლა კაცი გარედ ვერ გასულა სიტყვა ვერ უთქვამს, რომ მაშინათვე ხანჯლის წვერწედ არ ააგონო... ვიმეორებთ, ჩვენ ამ თვქტში სამწუხარო მოლენას ვხედავთ... რა საჭიროა ღობე ურეები?... ოკელი პატიოსანი ორგანო იმას უნდა ცდილობდეს, რომ სიმართლე გაამჟღავნოს, ოკელთვის მართებულ და სწორის გზისკენ უნდა ეწოდეს, მაგრამ...

შესანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ აქამდინ ტილიპუჭურას სასტუმრო დაკეტილი არ არის. განა ეს პირველი მაგალითია იქა? განა მარტო ყოფიანს შემთხვევია ამისთანა ამბავი ტილიპუჭურასთან?! სამწუხაროა აგრეთვე ის, რომ... მშვიდობიანობის მაგიერ ალიაქოთს აყენებენ და სადაც სიტყვა არ გადის იქ მუჯლუგუნებს ხმარობენ!..

მუჯლუგუნები ხომ მუჯლუგუნებია და წიხლი რა კაცის შესაფერია, მაგრამ არც ის არის სასაცილო, რაც ამ დღეებში სოფ წევში თორმეტს ოსს ჩაუდენიათ;—ვიღაც მცირე წლოვანი სოფელი გოგო დაუჭერიათ და თორმეტს გამხეცებულს ოსს ისე უწვალებიათ, რომ პატრონებს საბრალო გოგო ცოცხალ-მკვდარი შინ ურმით მოუთრევიათ. აქაც თურმე მაგისთანა შემთხვევებს ეურადღებას არ აქცევენ (იხილე «ივერია» № 148) საზოგადოთ ოსები არასოდეს არ ეოფილან ზნეობის პატრონნი, ლმობიერნი—მეტადრე ქალების შესახებ. ვინ არ იცის ოსების ქალების ამბავი! მაგრამ ჩვენ გვოცებს იმ ვაჟბატონების ზნეობა, რომელთაც ვალად აწევს თვალეურის დევნა ხსენებულ უწესოებათა მოსასპობლათ... მაგრამ ესეც,—სად არის ამ ჩვენ დროს ზნეობრივი მოვალეობა, წესიერების დაცვა, სიმართლის დასარჩლება?... განა სიმართლეა, რომ (ისევ ოსებში) მამა თავის ქალს ორჯერ ათხოვებს; ერთს სასიძოს და მეორესაც ქრთამს ართმევს და ბოლოს არც ერთს და არც მეორეს აძლევს თავის ქალს, იქნება მესამე მოვატეუოვო. (იხილე „ივერია“ № 417) გარეკნეს სიცოცხლე, გარეკნეს ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება... დღედღეზედ უფრო საეურადღებოა ცხოვრების თეატრი და მაზედ მოქმედნი პირნი. ხოლო რასა იქ, რომ რეცენზიების წერა, პიესების გარჩევა, ტიპების მილაგ-მოლაგება არ შეგიძლიან... სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა!..

რეზონიორი

ხელოვნური პოეზია

გამოთხოვება

№ . . . ს

მშვიდობით!... ბედმან გარდასჭრა!... ცრემლები
მოიდის მდელარე:
გეტოვებ შენ, ჩემო ღვთაებავ, ჩემო ვარსკვლავო და მთვარე!
გეტოვებ, მიდივარ, მაგრამ-კი აქ მრჩება სული, გონება,
დამწვარი გული, სიცოცხლე—ესურთ იმათ შენი მონება!..

—

ვაჭ! რა ძნელია, იცოდე, გულის ეკვილის დათმობა:
ადარ მიგაჩნია მზე მნათად, არც გრწამს ბედისგან დატკბობა;
დიმილიც მოგდის, ტირილიც, არც გსურს იცოცხლო, არც მოკვდე,
გსურს მას უცქირო, ეკედრო, კიდეც დასწყევლო, განშორდე!...

—

მაგრამ რა იცი ჯერ შენ ეს, ჯერ არ მცოდნელი
ამის ხარ,
ჯერ ნიავს ცხოველს, ეუკურო, არსიდგან შეურეკეისარ;
ვერსით მიხვდები ჩემს ტანჯვას, ჩემსა საბრალო ცრემლებსა,
ჩემს „ვაის,“ ოხვრას, ოდებას, შენგნიკ ანთებულს ალებსა...

—

დღემდის ის მიჩნდა ნუგეშად—შენს ნახვას ველირსებოდი,
თუმც მითც ვიწოდი, მაგრამ მასთან კიდევაც ვსტკბებოდი!...
დღეს?—დღეს სულ გეტოვებ და იქნებ შენს ნახვას ველარც ველირსო,
გული ტანჯული, დამდნარი მეტის ტანჯვებით ალივსო!

—

რა გაეწყობა: ასე არს წესი სოფლისა, ტრიალი...
მისგან მოწამლულთ, ჩემგვარად, სხვათაც ბევრთ ისმის ზრიალი;
მეც არ ამცილდა ეს წესი, უნდა განგშორდე, ეკვილო,
ვინ იცის ვისთვის გვირგვინო, ჩემთვის კი სულის სახმილო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გულ-წრფელი მუდარა ღვთისადმი ესლა ეს არი:
მოგცეს სიცოცხლე, სიმრთელე, ბედ-იღბლის ფრთებ-
ქვეშ საფარი;
არ მოგიშალოს სალისი, ეგ სიკასკასე გულისა,
ეგ ძალი ანდამატური შემბერობი სიყვარულისა!...

—

მეკი... ეჰ! დაე, ვიტანჯო, მქონდეს მუდმივი გოდება,
დაე, ტრემლებმან იწვიმონ, დაე, თუ გულიც მოგვდება;
არ ვკრთი, რომ ნორჩი სიცოცხლე მექმნება გამწარებული,
ოღონდ შენ იყავ მშვიდობით, ოკეელ-გვარ აჩუკებული!..

—

აწ კმარა, სულო... მშვიდობით! სხვას ვერრას გეტყვი,
ტრემლი მკლავს,
სხვა გრძნობათ ისევ ჩემს გულში დავსწვავ, გავუშრი
მენ საფლავს!...
მშვიდობით... გტოვებ, მივდივარ, მაგრამ აქ მრჩება
გონება,
სული და გული, სიცოცხლე — ჩუსურთ იმათ შენი მონება!..

გ. თირელი

ა რ მ ე შ ი ნ ი ს

არ მეშინის ამ ცრუ-სოფლის!
რაც გინდ მიმტროს ამ მაცდურმა,
თუნდა ჩემი ბედის-ჩარხიც
ატრიალოს სულ უკუღმა.

—

ვერ გამტეხავს, რომ ესა ვსთქვა,
მე ამ სოფლად უბედური!
ველარ უძლებს გული ვარამს,
სიცოცხლე მაქვს უგემური.

—

გინდ ტრფობისა ქამანდ ალეაც
გარდამაცვას კისერზედა,
მაინც კიდევ იმედი მაქვს
გამარჯვების ჩემს ბედზედა.

ვერა მნახავს დამონებულს
ჩემს ქედს წახრილს მანამდინა,
სანამ სრულად არ მიმიტანს
შავს სამარის კარამდინა.

—

არ მეშინის ამ ცრუ-სოფლის,
რაც გინდ მიმტროს ამ მაცდურმა,
საწადმართო ცხოვრების გზა
რომ მატარონ სულ უკუღმა.

მ—გ—ძე.

„ვით დილის ნამი ააბიბინებს
უდროოდ დამჭკნარ, ფერ-მიხდილ-მდელოს,
ისე გვიმთელებ ჩვენც მაშვრალს-გულსა,
და მისთვისა ვსოომთ შენ სადღეგრძელოს!

—

უფროს მოძმებში რჩეულთაგანო,
უმცროსებისთვის სამაგალითო,
დავრდომილთათვის გულ-დაწყვეტილო,
სულ-დგმულო მხოლოდ სულ-კეთილითო;

—

იცოცხლე დიდხანს შენდა გუნებად!
ღმერთმა მოგასწროს იმ დღეს ბედნიერს,
რომ შეთანხმებით და სიყვარულით
გავიძახოდეთ მრავალ-ჟამიერს!..

ფელეტონი

შეშლილის წერილები

—

დილაა. ჯერ კიდევ ცაზედ არ გამქრალან ვარსკვლავები; აქა-იქ შეჯგუფულან, თითქოს უკანსკნელად ერთმანეთს ესალმებიანო; ერთი-ერთმანეთს მიჰკვრიან, თითქოს ამით უშველიდნენ საბრალონი, რომ მძლავრმა მზემ არ გააქროს ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულად. სიო მშვენიერად მოჰბერს და თან მოაქვს ათას სურნელოვანი ყვავილების სუნი. ყველა სულ-დგმული თავისუფლად სუნთქავს და მკერდს უშვერს სიგრილეს. არიან ხოლმე იმისთანა წამები, როცა კაცი ჰგრძნობს თავს ფართოდ, ლაღად და სცდილობს დასტკბეს ბუნების სიმშვენიერით, თითქოს მას ქვეყანაზედ ეს ერთი სიამოვნება-ღა დარჩენიაო. მაგრამ დაჰქროლამს სასტიკი ქარი და მოსწყვეტს გულიდგან კოკორს ვარდს. აგერ, მაღლა მთის ფერდოებზედ დაფოთლილი ბუჩქნარი მოჩანს, სიცოცხლე ეტყობათ მის მწვანე ფოთლებს: შრიალებენ და ინძრევიან და თვით ბუჩქიც ირყევა, თითქოს იმ ადგილიდგან მოცილება უნდოდესო. სად წახვალ შე, უბედურო; შენ საუკუნოდ მიბოჭვილი ხარ მიწაზედ; ერთი-ღა დაგრჩენია: უყურო მზეს-და ეეედრო, ყინვამ სრულაად არ მოგისპოს სიცოცხლე. აგერ კურდღელიც გამოხტა იქიდგან. იხტუნე ფხიზელო, სულ-დგმულო, სინამ თეთრი კბილები ჩაუჭერდნენ შენს მალალს ხოცში. ვერც შენ დაენდურები შენს ბედს; ასეა ბუნების კანონი: შენ ბუჩქი დაგიჩემებია და შენც ვაცი გიჩემებს. აგერ კიდევ მეორე ეკლის ბუჩქში მერცხალი გაბმულა. საცოდავი, რა რიგ ფთხრიალებს. სად არის ქორი, რომ მზა მზარეულს არ დაგაცხრება. იქნება გეშინიან რომ არ გაჩნდეს და იმიტომ იბრძვი, სიცოცხლე გადაარჩინო. მაგრამ ძვირად არა ღირს შენი სიცოცხლე, დღეს თუ ხვალ შეგეკვეცება ეგ ფრთები, რომლითაც ეხლა უძალოვანდები ქორს. სიცივე იმისთანა მტერია შენი, რომ იგი უჩინრად, ძალა უხმარებლად მიგისუსტებს კუჭს და სიცოცხლესაც. მაგრამ ერთის წუთის სიცოცხლეც კი ძვირია ყველასთვის. მოიცა აგიშვებ. იჯრინე საცოდავო სულ-დგმულო, იქმნება შენს ბღარტებს მაინც მიესწრო; ისიც კარგია, თუ მიესწარი! ღრუბლები თანდისთან დაეშვნენ; უთუოდ წვიმას აპირებს.

ღმერთო ჩემო, განა სულით ავადმყოფობაც შეიძლება? სულით ავადმყოფებს გიჟებს ეძახიან, მაგრამ ეს კიდევ ბედნიერებაა; გიჟი ვერა გრძნობს თავის სიგიჟეს... თავში ერთი მეორეზედ უარესი ჰზრები გამიელვებენ ხოლმე. ზიჟი ვარ, მაგრამ გიჟი სრული გრძნობით და საღის ტვინით. მაშ ეს რა ეშმაკია, ეს შემაძრწუნებელი ფიქრები? რა იწვევს იმათ? იქნება მშიოდეს. ფიზიოლოგნი ამტკიცებენ, რომ შიმშილს სხეულზედ და კერძოდ ტვინზედ გავლენა აქვსო, მაგრამ არა, მე დღეს ვისდილე და ვისადილე ასე, როგორც არა ესადილობ ხოლმე მთელს თვეში. მაშ რა არის ეს აურ-ზაური ფიქრები? მართლა, ზოგნი კიდევ იძახიან, რომ ამ დკმოიარეობას სიყვარულიც იწვევსო. მაგრამ ვინ შემყვარებია? ჩუმათ ხომ არავინ ჩამიჯდებოდა ამ ამოსავარდნელ გულში და ჯერ ძე ქრისტიანს ჩემთვის არც კი გაულიმავს. არა ეს სიყვარული როდია, სიძულვილია უფრო. დიახ სიძულვილია—სასტიკი, გაუძაძღარი, ყველას დამლუპავი. მაგრამ, საკვირველია, ეს სიძულვილი საიდან შთამენერგა გულში, როცა ყველა გარშემო სიყვარულს მიმოძღვრებდნენ? ან ვინ უნდა მძულდეს? ყველაზედ უწინ ჩემი თავი, რადგანაც არ შემიძლიან ამ გრძნობას წინააღუდგე და დავთრგუნო იგი. მეორედ... მეორეთ მძულს ყველა, რადგანაც სიძულვილს მოსდევე სიძულვილი: მე ყველა შემიძულებს და მეც მათ შევიძულებ, ფერი ფერსა ჰბადავს. ღმერთო ჩემო, ეს რა ქსელებში ჩავები. ან რათა მძულს და ან რად ვეძულვებინები!? არა, ეს არც სიძულვილი იქნება, რადგანაც ჩემი თავი არა მძულს: მე მინდა ვიცოცხლო. რომ თავი მძულებოდა, თავს მოვიკლავდი და საუკუნოდ მოვსპობდი ამ გრძნობას; იქნება ჩემში იფარავდეს თავს ყველას სიძულვილი. ისევ უთუოდ სიყვარული უნდა იყოს. მაგრამ ვინ მიყვარს, რომ არ ვიცი? ჩემი თავი მიყვარს და მიყვარს იმიტომ, რომ ვიცოცხლო, მაგრამ აქედან რა გამოვიდა? მე მიყვარს ჩემი თავი იმიტომ, რომ სხვა არვინ არის სიყვარულის ღირსი; მე იმისთვის ვიცოცხლებ, მაგრამ მარტოდ სიცოცხლე, რომ არ შეიძლება? მაშასადამე სხვაც მყვარებია. რათ მიყვარს სხვა? თავი მიყვარს იმიტომ, რომ ვიცოცხლო. სიცოცხლე არ შემიძლიან უმეორედ, მაშასადამე ეს ხხვა სიცოცხლისთვის მყვარებია, სიცოცხლე ყველასთან შეიძლება; მაშ ყველა უნდა მიყვარდეს. არა, ყველა რომ მიყვარდეს, ყველას ვეყვარები, მაშასადამე რა ადგილი აქვსთ შავს ფიქრებს ჩემს თავში?

საშინელი სიზმრები ვნახე. ზოგნი იძახიან რომ სიზმარი ძილი არის სულისაო. მე კი ვიტყვი, რომ იგი არის ომი, სადაც სული ებრძვის გრძნობებს. რა არა ვნახე; ძმა ძმას აღარ ინდობს; უსინიდისოდ ატყუებს და თავს მართლულობს იმითი, რომ ეს პოლიტიკაო... აგერ კიდევ ამბავი მოვიდა, რომ ეს ყაჩიღად გავარდაო, ის და ის მოჰკლაო. ღმერთო, როდის აკმარებ ქვეყანას ამ მოვლინებას! ნუ-თუ წამალი არ დაედება ამას? ნუ-თუ არავის აფიქრებს ეგ სენი? მაგრამ ზოგს ეგ სენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიაჩნია; ამბობენ რომ ესა და ეს ყაჩაღი გენიოსიო ღმერთო, დაგვიხსენ ამისთანა ფილოსოფოსებისგან, თორემ მალე იმასაც იტყვიან, რომ ქურდს ეკუთვნის ჩვენი სარჩო და იმიტომ გვპარავსო. ზამართლდა იმ ოჯახ ამოსაწყვეტი გეგელის წინასწარმეტყველება: „ქონება და არ ქონება ერთიაო.“ ლუკმა კი ეველარ შეუჭამიაკაცს თავისუფლად. მუდამ სინიდისი გტანჯავს; მოვალეობა გაწუხებ.. მუდამ სიფხიზლით ძილი შეუძლებელია; ერთხელაც იქნება ტკბილად ჩაგეძინება და მაშინ... საზარელია საფიქრებლადაც!.. ამ საშინელს სიზმრიდგ ნ მხოლოდ ერთი პასუხი გამოვიტანე. მიყვარს იმიტომ რომ მძულს, მძულს იმიტომ რომ მებრალება, მებრალება და ამ შებრალებას მოსდევს მოვალეობა შველისა. და ყველა ეს იმიტომ, რომ საერთო ჰარმონია დამყარდეს ქვეყანაზედ, ე. ი. მე უდარდელად ვიცხოვრო. დღეს ერთმა ჩემმა ჭკვიანმა ამხანაგთაგანმა მითხრა: „კაცო, როდემდის უნდა იარო ეგრე გზა-აბნეულიო?“ ამას მეცა ვგრძნობ, მაგრამ რა ვქნა? ჩემსავით ცნობის მოყვარე და ამისთანავე აღტაცებული ხასიათისა ყველა იყო, მაგრამ... შველამ იპოვა ადგილი, რომელსაც თავის ძალას ახმარებენ და სინდისთან გაბათილებულნი გომოდიან. აგერ, ამ ჩემმა ამხანაგმა მასწავლებლობა იშოვა და დაჭლიღინებს თავის ბედს, ცხოვრების „მრავალ ჟამიერს?“ მე რომ არა მეშველარა. მე თვითონ არ ვიცი რა მწადიან. ერთიდგან მეორეზე ვხტივარ, თითქოს ასკიკუკას ვთამაშობდე. თან დროც მირბის შეუმჩნეველად. ვის მივმართო, რომ რჩევა ვკითხო? ლამის ამ პაპანება მზეში დიოგენივით ფარანი ავიღო და პატიოსანს კაცს დაუწყო ძებნა. ერთი პირს გარიდებს სრულებით და მეორეს ხელებზედ აბაზიანების დაღი დასჯდომია ბევრი ფულების ხვეტით. ისე ზიხარ და ეკითხები თავს, შენს მეგობრებს უხმო ნიუტონებს და გალილეებს. ეკითხები: მიწა ასე რო ტრიალებს, ან როგორ-ღა დავტრიალდე—თქო? მაგრამ გვიან მიიღებ მათგან პასუხს, უკანასკნელს დასკვნას.

სოკრატი იძახდა: „კაცი ორსულია ჭეშმარიტებებით და მე ბებია ვარო.“ არა გვანებულა ჩვენს ბებიებს. ნეტავი ეხლა გააცოცხლა ის დალოცვილი, რავდენს ეაჟებს მაშობინებდა! ჩემმა ამხანაგმა რომ იცოდეს ჩემი ტანჯვა, ალარ მეტყოდა:“ როდემდის უნდა აგრე იარო გზა-აბნეულიო?“ ან ვის არა აქვს ეხლა გზა აბნეული? ზოგ-ზოგს სინდისისთვის ჩიქილა მოუხდია და ჰგონია ცხოვრების ბორბალოს მეცა ვკარ ერთი ქინუნჯი და წინ წავწიეო...

მეც პოეზიას მინდა მივყო ხელი, მით უფრო, რომ ეს ჩემს ტემპერამენტს მოუხდება. ეხლა ვიღაცას ახალი ეპოქა შემოუტანია პოეზიაში:“ „ქუხილი და ჭექა;“ „ჯანყი და ბურუსი.“ ამ ოთხი სიტყვით გადმოიცემა ამ პოეზიის შინაარსი, მაგრამ თავს რომ არ მოდის. ეს ისე არ ეთანხმება ჩვენს ცოვრებას, როგორც კედელს-ცერცვი.

საითაც მიიხედავ ჩვენი გონების სვეტებს „დამაკვირდი“ აწერია. ერთს ჩემს ნაცნობს ვკითხე: რას გააკეთებ სახლში? მეთქვი. მე ძამიაკ, თუმნიანი უნდამ მოვწველოვო. ნეტა თუ რაიქნება ეს თუმნის მოწველა? ჩვენში ძროხებსაც ვერა წველამენ რიგიანად და ის კი თუმანის მოწველავს როგორ მოახერხებს; როცა მას მეორედ დავეკითხე, მითხრა, რომ ჩვენ ფული გვაკლიაო, თუ ესეც, ვიშოვნეთ ბედნიერები ვიქნებითო. აი, კიდევ ახალი ჰაზრი! რაღას ვეტყოდი. „ღმერთმა რძე არ აგიხაჭოვოს მეთქი“ და შევაგდე კენჭი.

გოლგოთა.

სალხური პოეზია

დეკეული ჩამორბოდა
დაგლეჯილი მგლისაგანა;
მე ბევრი ქალი მინახავს
ნამტირალი ქრმისაგანა.

მაღლიდგან ქორი აფრინდა,
გადმოხედა ვაკესაო;
ქალოვ, ეგ შენი ხუმრობა,
ვიცი დაკამაკებსაო!

ჰატარა ქალოვ ანაო,
ჩამოდი ატამთანაო,—
ატმის ფოთოლი მოწყვიტე,
დაიდე სატკივართანაო,—

(შეკრებილი სიღნაღის მაზრაში
რ. მირზაანელისაგან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსნა ხალხურის გამოცანებისა *).

ა.—ქაღალდი, საწერ-კალამი და წერა.
ბ.—სათვალე.
ა.—როდინი (ავანგდასტა) ბ.—წვიმა და ღრუბელი. გ.—ნამყენი. დ.—ბადე. ე.—თვალები. ვ.—სიბერე.

ახსნა არითმეტიკული გამოცანებისა *)

ასი მანეთად იყიდა:

90 ხბოს	—	45 მ.
9 ძროხას	—	45 მ.
და 1 ხარს	—	10 მ.
100 სული	—	100 მანეთი.

ამ გამოცანის სწორი ახსნა მივიღეთ 1. ანიანა ანასტასია რაფაელს ასულის ერისთავისაგან 2, ივლიანე ქავთარაძესაგან. და 3, ქოტე ნასიძისაგან.

ახსნა გამოცანა-ფოკუსისა. (*)

სამივე შაქარ ყინული ქუდებიდამ გამოიღეთ, ქუდი თავს დაიხურეთ და შაქარ-ყინულები კი თქვენ მიირთვით. ამ გვარად სამივე შაქარი ყინულები ერთ ქუდს ქვეშ იქნება.

გამოიცნო ივლიანე ქავთარაძემ.

ართმეტიკული გამოცანა.

ორ აბაზად უნდა იყიდო ორმოცი კვერცხი: ქათმისა, იხვისა, და ბატისა. წყვილი ქათმის კვერცხი ღირს—1 კ. იხვისა თითო 2 კ. და ბატისა 3. კ.

მოხევის სიმღერები.

შენ, შემოქმედო, შენ გეპყ,
აუვავდეს ჩემი მხარეო;
აწ უძლურს უთხრა აღზდეგინ,
დასტები და გაიხარეო!

***

ბულბულო ტკბილად დაჭეეფე,
ქვეუნად გაშუქდი მთვარეო,
ვარდო, კოკობო, ნამცვრეო,
სატრფოსკენ დაიხარეო!

***

ოღონდაცა ჩემი სატრფო
კეთილზედ დაამყარეო!
მაშინ, თუნდა იმ წუთაში
გულს მიწა მომაყარეო!

მოჩხუბარიძე.

მარტო ვარ.

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მეყავს მობანე!
მაისის წვიმავ! წამოდი,
გულიჭ სევდისგან გაბანე;
ნიავო! წუნარად დაჭქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი სადმ წააკვრევინე!

მოჩხუბარიძე.

კვირიდან კვირამდე

ჩვენ შევიტყეთ, რომ „Сѣверный Вѣстникъ“-ს მოუსპია თავისი არსებობა. ეს ამბავი მეტად სამწუხარო მოვლენაა რაკი გაზეთი იქამდისინ მიაღწევს, რომ სიცოცხლე ესპობა, სჩანს: ან თითონ არ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას მაშასადამე არ ვარგა ან—მკითხველები არა ჰყავს.

ჩვენის აზრით „С. В.“ რაც კი შეეძლო ყოველისფერს აკეთებდა და არც უსარგებლო ორგანი იყო.

---

*) იხილეთ „თეატრი“ № 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურ სასწავლებელში წრეულს ექვსი კლასიანი სწავლა შეუსრულებიათ: 13 სომეხს, 3 ქართველს, 3 რუსს და 2 ნემეცს.

სიღნაღის მაზრიდამ იწერებიან: ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხალხი ეამისთანა ჭირნახულისა და ბალახის მოსავალს არ მოსწრებიაო, პური, ქერი, ფეტვი, და სიმინდი ყოველის ფერი უხვად მოდისო.

პურისა და ქერის მკას მკათათვის დამლევამდეც ვერ მოასწრებენო.

უბრალო მუშა დღეში ერთი მანეთი ღირსო...

ქ. სოხუმში ფილოქსერა კიდევ აღმოუჩენიათ, მუშაობა მარდათ მიდის თურმე. ამ ფილოქსერას იმდენი მუშები უნდება, რომ ეხლა მუშა დღეში 1 მან. 40 კ. არც კი იშოვებაო.

ჩვენ ქართულს დრამატიულს დასს კიდეც დაუმთავრებია თავისი წარმოდგენები ქუთაისში და იქიდან ფოთში და შემდეგ ბათუმში გამგზავრებულან. ქუთაისში დასს 3 წარმოდგენა გაუმართავს, ხალხი ბლომად დასწრებია, პიესები ჩინებულად შეუსრულებიათ. განსაკუთრებით კარგად უთამაშნიათ მალალ ნიჭიერს არტისტ ქალს. მ. მ. სათ-აბაშიძისას, თვითონ აბაშიძეს, აწუურელს, მოხევეს, და ქეთ. ანდრონიკოვისას. მე 4 წარმოდგენა გაუმართავთ კურს შესრულებულ გიმნაზისტების სასარგებლოდ.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ ხანებში სურამში წარმოდგენის გამართვას აპირებენ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდო. ითამაშებენ სუნდუკიანცის კომედიას „დაქცეულს ოდახს.“ ჩვენის მხრით ვისურვებთ, რომ ეგ პატიოსანი განზრახვა მარტო განზრახვად არ დარჩეს.

ხმა სხვა-და-სხვა კუთხიდამ

(ქ. ფოთი 7 ივლისს 1886 წელს)

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ფოთს ესტუმრა დიდის ხნის ნაცნობი ჩვენის საზოგადოებისა ქართული დრამატიული არტისტების ამსანაგობა, რომელთაც გამართეს აქაურს კლუბში ორი წარმოდგენა. წარმოდგენამ საუცხოოდ გაიარა, მხოლოდ ხალხი კი იმტანი არ დასწრებია, როგორც წასულ წლებში ესწრებოდენ ხოლმე, რადგან ზაფხულის გამო ბევრნი გასულნი იყვნენ ქალაქიდამ.

არტისტები ყველანი ძლიერ კარგათ ასრულებდნენ თავიანთ როლებს: ა. მოსეევ, ვ. აბაშიძე, დ. აწუურელი, ნ. გიორგობიანისა და სხვანი; განსაკუთრებით მშვენიერი იყო განთქმული თავის ნიჭით, ხელოვნობით ქალი არტისტი მ. სათვროვი—აბაშიძისა, რომლის სცენაზე გამოსვლისათანავე განუწყვეტლივ ტაშის კვრას ბოლო აღარა ჰქონდა ხოლმე. სპექტაკლის გათავების დროს პატივცემულ ქალ-არტისტს მიერთვა მშვენიერი თაიგული. შემდეგ ორის სპექტაკლისა დასი ბათუმისკენ გაემგზავრა.

დიდათ სასიამოვნო იქნება ჩვენის საზოგადოებისათვის, რომ ზემო ხსენებულის პატივცემულის არტისტების საზოგადოება არ დაგვივიწყებდეს და ყოველ ზაფხულობით გვესტუმრებოდეს. წარსულ იუნისის 6 ქართულ სცენის მოყვარე საზოგადოებისაგან აქ იყო გამართული ერთი სპექტაკლი; ხალხი ბლომად დასწრო. შემოსული ფული ამ სპექტაკლიდამ დანიშნულია „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოთ. სხვათა შორის კარგათ შასრულეს თავიანთი როლები ბბ. იეზოვმა, კ. გაბრიჩიძემ და განსაკუთრებით კარგათ თამაშობდა ყოველად ნიჭიერი სცენის მოყვარე ელისაბედ ჭოჭუას შეუღლე და პერეკრესტოვის ქალიც.

ბ. კ—ძე

რაზე-რუზე

ერთს კოჭლს იმერელს, რომელსაც ყაბალახით თავი მაგრათ შეკრული ჰქონდა, წინ შემოეყარა ერთი ზორბა, ღიბიანი, უშნოდ ჩასუქებული შავ-შავი კაცი.

— გამარჯვება; მიაძახა იმერელმა. მგზავრმა პასუხის ნაცვლად ერთი სხვა ნაირად შეხედა, კარგათ გადათვალიერა, უეცრა, უეცრა და ბოლოს უთხრა:

— ვაი იმ შენს ბრიყვს ექიმს კი რა უთხრა, რომელმაც ფესის მაგიერ თავი შეგიხვიაო!

— მე კი იმ კუპრავს რა უთხრა, რომელმაც ასე უშნოდ და ისიც გარედამ გამოგეუპრაო, მიუგო იმერელმა.—

ივლიანე სანაკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს ვიღაც კარგად ჩაცმულს კაცს ბატარა ვაჟი მიჰყავს ხელით. გაუსწორდა ბაყალს თუ არა ბავშვმა ტირილი დაიწყო:

— მამიკო, აი ეს ვაშლი მიყიდეო.

— ვა უყიდე господинъ, ეგ ვაჟი განა შენი ნაქნარი არ არის, რომ ასე ატირებ!

მამა, რადგა გაეწყობოდა, იძულებულ იქმნა ერთ გირვანქა ვაშლი ეყიდნა თავის შვილისათვის.

ბავშვმა ხელ-მეორედ მოართო ტირილი, ვა კნიაზ, რად ატირებ ცოდო არ არის. ერთი უყიდე და გული დაუტკბეს!

— ვა, გაიოცა მამამ, არც ასეთი ჭირვეულობა უნდა, შვილო. ბავში შეუწყვეტლივ სტირის. მამამ უყიდა კიდეც ერთი გირვანქა მსხალი. მაგრამ სქმე ამით როდი გათავდა, ბავშვი ისევ ტირილს მიყო, მაშინ გაჯავრებული მამამ კინტოზედ უჩვენა და უთხრა: აი თუ არ გაჩუმდები ეგ კინტო გაგიყიდისო.

— მაშ-მაშ, მიუგო კინტომ და ერთი ისეთი შეჰსედა ბავშს, რომ უფრო შეაშინა და მეტად აატირა,— მამა კინტოს სთხოვს ბავშის დამშვიდებას. კინტოც ამშვიდებს:

— Мольчи душа, ბავში ტირის.

— Мольчи მეთქი და! ბავში ტირის.

— Мольчи штоли ლუბუსტრაც ... ის შვილო! ვაი!...

— ?!?!...

ერთს ტენორს ბევრი მღერისაგან მთლად წართმეოდა ხმა და «კარლოსის» როლის ასრულების დროს ისე საშინლად თურმე შეჰყვირა: «მას ვუძახი და არ ესმისო!» რომ ზოგნი ძალა-უნებურად ერთს აღლზედ შესტნენ.

„ოჰ, რა ბედნიერი ყოფილა, რომ შენი ხმა არ ესმის, თორემ შენი მტერი ყურებს დაუჭედდიო!“ იოსუნჯა აკაკიმ.

ქალაქში ერთს სახლის კარებზედ ელექტრონიული ზარი აქვს გაკეთებული და ზედ შემდეგი წარწერილია: «ღილს თითი დაჭირეთ და თუ 20-ან 30 მინუთის შემდეგ კარი არ გაიღოს, მეორედ კიდევ სცადეთ».

კარგია თქვენმა მზემ! მაშ ოთხჯერ რომ მიაჭირო ორი საათი უნდა იცადო, რომ კარის გაღებას ელირსო.

კინტოური მოკითხვა

ძმაო სოსანჯან!

ბირველად მრავალს დედ-მამის სულს გიკურთხებ და შემდეგ შენს ლოთიანობას ვისურვებ. ღმერთმა ქნას, რომ ოთველთვის ეგრეთი ლოთი-ფაშა იყო, ძმეებისა და მეგობრების გამტანი, მურაზიანი, მამალი! თორემ, ძმაო ჯან, გარშემო რომ იყ.ბი, ლიმის გული ამმოვარდეს ბუდიდგან, უველას ცხვირი ჩამოუშვია, უველა სიქიოს ამბავს გაჭყოლია, ხომ გაგიგონია ჩაჭუაპეს ლათაია:

ვიქეიფოთ, რა მიგვდევს სიქიოს,
დე, სიკვდილმა ბრაზით ფაკი იქნიოს!

იმისი სულის ჭირიმე, იმისი! ლოთია, ჯეელია, ზოგი ერთებსავით ნამარდი კი არ არის.—

ეური ბატარა — ოიოოინ დიდია დაბადებულიეო არა სჯობდა? არა, მითხარ ერთი, რითი არა სჯობდა? ვსთქვათ, ეგ დაიბადა ქვეყანაზე, ვის რა არგო, რისთვის დაიბადა და, რა ვირის თავია თუ არც ძმა-ბიჭს გაუწევს ძმობას, არც მეგობარს გამოადგება, ცხვირი ჩამოუშვია წელიწადი—თორმეტი თთვე და არის თავისთვის—არც ქეიფი, არც დროს გატარება, არც ლხინი, სულ ერთავად ნამარდი, ნამარდი და ნამარდი,— ერთის სიტყვით ბეჭია რადაც გამოვიდა.

რა სეირი აქვს, რა სარგებლობა! ერთსელ ერთ ჯამს ღვინოს დაალევინებ, შენ რომ თუნგობითა ცეცხლავდე. მიუვარს ამასთან, მოჯაფე, მოძუშაგე სალხი, ძმაო ჯან, კარგია, ზორბაა, ლაზათიანი! როგორ გაცქვეტს ხოლმე ყურებს, რომ გაიგონებს დუდუკის ხმას, როგორ დაიყოოინებს და თავის სიამოვნებას აცხადებს, რომ ჭა, ჩემი ლოთი ბატრონი ქეიფობსო; ხან კიდევ როგორ გაიკრიჭება! რა არის იმისი სიცოცხლე! ათითორმეტი წელიწადი უნდა გემსასურაოს, როგორ გაისარებს, როგორ გადიდგულდება, რომ მოდის გაბერილი და ჩინის წკარა-წკურიც ყურს უსიამოვნებს, რა დიდი რამა ჭგონია მაშინ თავისი თავი! საწყალი! მეცოდება!...

მაგრამ ერთის მხრით რომ მართალი სთქვას კაცმა, არც სალანძღავი და საკიცხავია ამისთანა კაცი. რას იზავ, ძმაო, ვინ იცის, ზოგს რა დარდი აქვს, ზოგს რა. ზოგი უბედურად დაბადებულა, ზოგს კუდიანობა ღამეს გაუჩუჩუნია დედის მუცელში და მას შემდეგ მოდის და მოსტირის თავის ეისმათს. ბედ-შავად დაბადებულა და ბედ-შავად ატარებს თავის ცხოვრებას. ამისთანა კაცი შესაბრალისია. ზოგს სიყვარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჩავარდნია გულში, იტანჯება, ჩამოშხმარა დარდისგან, მაგრამ არავინ არ იბრალებს, მის გულის დუღილს და კვნესას არავინ ყურს არ უგდებს.

სიყვარული!... ააახ! მაგის მოშგონს რა უთხრა, რომ ეგ არ მოეგონა! ბიჭო, ცეცხლი არ არის, მა რა დარდუბალაა, რომ ქალისთვის სულსა სწირავდე, დღეღამ მოსვენება არა გქონდეს, იობივით იტანჯებოდე და ის კი ვიღაც ოსერს გადაჰყიდებოდეს, სხვა მოსწონდეს, ისეთი, რომელსაც ის ფესებზედ ჰკიდია და შენ—მისის ეშხით დამწვარ-დადაგულს—ყურადღებას არ გაქცევდეს...უჰ, ამისთანა ქალს ძუძუ მოსჭერი,... მაგრამ როგორ მოსჭრი, რომ გიყვარს, ღმერთივით იმაზედ ლოცულობ, დღე იმის სადღეგრძელოსა სვამ და ღამე ბირ-ჯვარზე ასასენებ! თუმც ბევრსა ლანძღამ, რომ გაწვალებს, ჯავრი მოგდის, რომ ისეთი კაცი შეჰყვარებია, რომელსაც ის არ უყვარს; ამბობ ჭკუა ტიურნურში გაჰბარვიაო—მაგრამ შენა სტუფი, იმისი ბრალი არ არის, რომ ის უყვარს; როგორც შენ ის გიყვარს, იმასაც სხვა უყვარს. რამდენჯერ თავს იწყევლი, გაჩენის საათს იგინებ, შემქნელის სულს ტარტაროზებს უგზავნი საწირველად და მოსახსენიებლად—აქაც შენა სტუფი, სიყვარულმა ბევრი რამ იცის, თუ ერთი გაძაღლდა და თავის არწივის ბრჭყალები მოგიჭირა, ისე კამოგატვინებს, რომ ვეღარ გაიგებ, თუ თავი სად გაბია და ფეხები სადა, ეშმაკის ჯორზე შეჯსომს და შეითან-ბაზარზე ისე ამოგატარ-ჩავატარეს. ჯავრი მოგდის, რომ შენს თავს იმის მოსადა ჭირმნობ, იმის დედმამის ტაბლას ტარტაროზურს ლოცვა-კურთხევას უგზავნი, მაგრამ ათასი ჭიჭინაზე გასძდე, ველარას უშველი, იმის მოსა სარ, იუბკის ზორტებში ჭეკსარ გამოკრული და არ გასუნთქებინებს.

ვა, მაშ ჯავრი არ მოგიკიდეს. კაცო! შეგიყვარდება ვიღაც მატუშკა გოგო, გიუდბი, ადგომის კელეტარიით ჩამოშხმარსარ, ფერი აღარ გაძევს სახეზე, იმის ეშხით საიქიოდგან მოსულს ტირაცუას დამსგავსებისარ, ესვეწები, ეკედრები და ფეხებზედაც არ გიკიდებს?! იმის გულისთვის სკანდარნოვის ხელობა დაგიჭერია, მესტვირეობ, თავს ისეთქვა, სიტყვას სიტყვაზედ აწყობ, სწერ:

ბოყალი, ტებე ლუბიმ,
დლია ტებე დუშუ გუბიმ.
ტკოი ტურნური ი ბრუყინა
მოი გალავა ბაგრუყილა.
ზაჩემ მნე ნი ხოჩიშ ლუბიტ,
ზაჩემ ხოჩიშ მენე უბიტ?

ზაჩემ მოი გალავა მაროჩიტ,
ი ტუდი-სუდი ვაროჩიტ?
ანგელ რაია, დუშა იაშჩიკ,
ია ტკოი ლაკეი, სტოროყ, იამშჩიკ!
ბოდი კამნე, ბოდი ბლიზკი,
ბოცალუიმ ტებე ვ ვისკი!
რაზ ბასმატრი, მიგნი გლაზმი,
ბოტომ სოჩიშ დუშუ ვაზმი!

ტუუილად, არავერსა გშველის შენი თავის ტესა, მისი გული სხვასთან არის, სხვას დამონებია, ცხრაჯელ რომ ფეხის გული ულოგო, ერთხელ არ შემოგაფურთხებს, ტუუილი არ არის. შენ კი გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი გინთია... ოხ-მე!...

მაგრამ უკაცრავად, რომ სიყვარულის ამბავს მოგიყევი, ხომ გაგიგონია—მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო. მეც მაგ დღეში ვარ, ძმაოჯან, სიყვარელს ქოშში დაუმწყვდევივარ და სულ მირისხდება, რამდენსაც ვეალერსები, მინდა ფეხის გულზე ხელი გადაუსო, იმდენს ქუსლს ჩამკრავს ხოლმე და ჩამახუმებს.

უკაცრავად, გენაცვა, სხვა დროს უფრო ქალაქის სხვა ამბებს მოგწერავ! დასასრულ ერთს რჩევას მოქცევ, — დედა-კაცს ერიდე, ერიდე მაგათი სინისლა კი გაწყდა, თორემ ჩემს დღეში ჩავარდები, ჩემსავით ბედს გაწყევლინებს, ქონს ამოგიშრობს, შეგტრუსავს და არ გაგათბობს, ცხრა ვარდი რომ ჭქონდეს, ერთზე არ გასუნებინებსს... ოჰ, დედაკაცი!... ააახ ნეტა რატომ მაჯლაჯუნა არა ვარ, რომ სული შეგისუთო!...

შენი დალაქი იესია

თეატრი და მუსიკა.

ბ. ნიკოლოზ ჩერნიგორიელს დაუწერია ტრაგედია სახელად „ბალკანიის მეფე.“ აი შინაარსიც: ჩერნოგორიელი სტანიში სამშობლოს ჭდალატობს და სულთანის დაპირებით გამობრუებული, რომ ფაშობას მისტემს, ოსმალეთში გადადის. მამა მისი დაბრუნებას ესვეწება, მაგრამ ის თავისას არ იშლის და ოსმალოს

ჯარი ჩერნოგორიაზედ საომრად მოჭყავს. სტანიშის სამშობლოს ღალატის ხმა მის საცოლე, ჰერუნ დანნიცის ქალამდისაც აღწევს. ქალს ეს არა სჯერა, მიდის თავის საქრმოსთან და ეკედრება, სამშობლოში დაბრუნდეს. სტანიში მტკიცედ აღგა თავის სურვილს. მას, როგორც ყველა შეჩვენებულს, ზნეობით დაცემულს კაცს, შესძულდა თავისი სამშობლო და მზათ იყო, რითაც შეეძლო ეოველი ვნება მოეტანა მისთვის.

— შენ რაღა დაგრჩომია ჩერნოგორიაში სანუკვარი და ძვირფასი? ჭკითხავს დანიცას, ტიტველა მთებში კარგსა რას ჭხედავ? შენ ჩემთან დარჩი—მთელი ბოლკანიის მეფედ გაგხდი.

— იქაური ეოველის ფერი ჩემთვის სასიამოვნოა, თავგამოდებით უპასუხა პატრიოტმა ქალმა. მე მგონია, რომ მზე მხოლოდ იქ ანათებს და დანარჩენს ქვეყნებს კი ოდნათა ჭფენს შუქს. მე ჩემს სამშობლოსთან მაკავშირებს სარწმუნოება, სისხლი, პატიოსნება და სიყვარული!

ამ ლაპარაკის დროს სტანიშს მიუახლოვდება მისი მამის ერთგული მეგობარი, მოხუცი კაცი და ისიცა სთხოვს დაუბრუნდეს სამშობლოს. სტანიში მოთმინებიდამ გამოდის და ჭკლავს ამ მოხუცს; იგი მიწაზედ გართხმული მაინც კიდევ ეკედრება:

— მე შენ გაპატიებენ ჩემს სიკვდილს, მომაკვდავი ტუჩებით სელებს დაგიკოცნი, თუ რომ სამშობლოში დაბრუნდები!

საყვარის ხმა ისმის, სტანიში წამოდგება და უბრძანებს ჯარს მოემზადოს ჩერნოგორიასთან საომრად. დანნიცა დაუოქვენს, ქვითინით უკოცნის სელებს და ეხვეწება გვიქცეთო. მაგრამ, რაკი დაინახავს, რომ ეოველიკე გათავებულია მათ შორის და სტანიშის დაბრუნება არავითარ ძალს აღარ შეუძლიან, ფეხზე წამოვარდება და შეჭკივლებს ოსმალოს ჯარს: „ჭეი, ვისაც უნდა რომ მე იმისი შევიქნე—დეე, გული გაუეოს ამ სამშობლოს მოღალატეს!“

სტანიში გატოფებული მიეარდება დანნიცს და თავისის ხლმით სიტოცხლეს უსწრაფებს.

— წყეული და კრული იყავ შენცა და შენი უწმინდური საქმეც! ძლივსღა დაიზურჩურა მომაკვდავმა ქალმა.

კვირას, 6 მკითხველს, საზეიმოდ ოპერაში „საოჯახო ბალში“ ქველმოქმედების განზრახვით წარმოდგენა იყო გამართული და თუმცა აღგილების ფასი მოემატებინათ, მაგრამ ხალხი მაინც ბლოკად დაესწრო. მიდიოდა ორ მოქმედებათანი კომედია და ოპერეტტა. პირველი სისულელის ნიმუშს წარმოადგენდა და მეორე—უტვინოობისას. საკვირველია, რომ ბ. რეჟისორმა ტრუპის წარმატებისათვის მაინც ბიესის შინაარს ყურადღება მიექციოს და უფრო ოზროვანი რამ ამოირჩიოს ხოლმე.

როგორც შევიტყეთ გამოჩენილი რუსის არტისტი-სტენების მკითხველი ბ. გორბუნოვი ამ სანებში ქალაქს ჩამოვა.

ერნესტ როსსის, რომელიც ესლა ბერლინში იმყოფება, ამას წინეთ ისპანიის „იზაბელლის“ ორდენი ებოძა. ეს ორდენი მას ისპანიის საელჩო წარმოადგენელმა ბერლინში, თეატრში რეპეტიციის დროს მიართვა. როსსის ესლა 38 ორდენი აქვს და ამას გარდა ბრაზილიის ჯარის ბოლკოვნიკის ჩინიც.

ამ ტოტა ხნებში ყველა იტალიის გაზეთებში დიბეჭდილი იყო განცხადება, რომელითაც ნაპოვნი ხელთ ნაწერი ოპერის ავტორს ეძებენ. ეს ოპერა ერთს ყმაწვილს ვენეციას და ბოლონიეს შუა რკინის გზის ვაგონში უპოვია და პოლიციისათვის წარუდგენია. ამ ხელთ ნაწერის განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ როგორც, მუსიკა აგრეთვე თექსტი ერთი და იგივე პირის დაწერილია. უსახელო ოპერა სრულიად დათავებულია თურმე, მტოდნე პირნი მას დიდათ აქებენ და ავტორსაც დიდს წარმატებას და სახელს უქადიან.

ვ ი ს ი ბ რ ა ლ ი ა?

(გაგრძელება).

ლიდიას საქმრო მდიდარი და ფრიად განათლებული კაცი იყო. სამის წლის წინად მან ციურიხის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაასრულა სწავლა (ციურიხშივე გაიცნო ლიდიაც) და შემდეგ, თითქმის ნახევარი ევროპა მოიარა იმ მიზნით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო ფაბრიკების წყობილება გაეცნო. უნდა გენახათ ლიდია, როდესაც ყურს უგდებდა მის პროექტებს, შესახებ იმ ცვლილებისა, რომელსაც იგი მოახდენდა თავის ფაბრიკებში; რა აღტაცებით ადევნებდა თვალ-ყურს, როდესაც ლიპსკი უხატავდა თავის მომავალ მუშათა საცხოვრებელ სადგომებზედ, სკოლებზედ, სამკურნალოებზედ და სხვა ამ გვარ ღარიბ მუშა ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ. ძნელად შეიტყობდით, ამ ორში ვინ უფრო კეთილი იყო, ვის უფრო ებრალებოდა თავისი თანამოძმე. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ ისინი ერთი-მეორისათვის იყვნენ დაბადებულნი, ერთსა და იგივე ლტოლვილებას და წადილს თითქოს ეს ორი სული ერთად შეერთებინა. ლიპსკი, ლამაზი, ჭკვიანი, მხნე და კეთილი, შეუძლებელი იყო რომ არ მოსწონებოდათ იმისთანა ქალებს, როგორიც ლიდია იყო. წინაშე ამ ძალისა, ამ ფიცხი ბუნებისა, თვით ლიდიამაც აგრეთვე ფიცხმა და მიმზიდავმა ვერ შეიმაგრა თავი.

ერთ თვესაც არ გაუვლია შემდეგ ზემო-აღწერილი საღამოსი, ლიდია ლიპსკის ცოლი შეიქმნა და მაშინვე ცოლ-ქმარი ს-კენ გაემგზავრნენ.

— ბვნახეთ, მეპატიჟებოდა ლიდია გამოთხოვების დროს.

— ბვნახამთ, გნახამთ, შორიდგან ხილვით მაინც არის ვისიამოვნებ იმ ცხოვრებით, როგორიც, იმედი მაქეს, თქვენ გექმნებათ; რამდენიმე დღით მაინც დავსტკბები იმ ბედნიერებით, რომელსაც ჩემთვის აღარ მოველი.

რატომ!

— ჩემი ხელობა, ლიდია მიხაილოვნა, თეორიაა და ლუკმა პური (საზრდოება). ამ თეორის აღსრულება ცხოვრებაში ბედს ურგუნებია მხოლოდ იმათთანა ბედნიერთათვის, როგორიც არის ლიპსკი. მათი ცხოვრება რთულია, ჩვენი კი... ჩვენ ცხოვრებაში კი ყოველთვის დარჩება ის უძლურების და უკმაყოფილების სიმწარე, რომელსაც ვერაფრით მოიშორებ. ღმერთმა ქმნას რომ ჩვენში ლიპსკისთანა ბევრი გამოვიდეს. მე კი ღამიტოვეთ ეს უბრალო იარაღი და ხანდის-ხან მომიგონეთ თქვენი მეგობარი. თქვენ მე არ დაგივიწყებთ.

პასუხად ჩემის სიტყვებისა მან მეგობრულად ჩამომართო ხელი.

წელიწად-ნახევრის შემდეგ მე გავლა მომიხდა ს-ში და, რასაკვირველია, ლიპსკიანიც ვნახე. მათი სახლი დგას ერთ უმშვენიერეს ქუჩაზე, გარეგანი შეხედულობით ის შეადგენს ქალაქის მშვენ-ლობას.

ჯარი ლივრეით ჩაცმულმა შვეიცარმა გამიღო და რაკი თავიდამ ფეხებამდინ დამათვალიერა მკითხა უკმაყოფილოდ:

— ვინა გნებავთ?

— ბატონი ლიპსკი.

— შინ არა ბძანდება, მითხრა მან და კარების მოკეტა დააპირა. არ ვიცი რათა და ამის ასეთი ქცევა ძალიანკი მეწყინა.

— არც ლიდია მიხაილოვნა არის შინა?

— ლიდია მიხაილოვნა? მოითმინეთ, მოვახსენებ.

ერთი წამის შემდეგ მე ავდიოდი ჩინებულად მორთულს მარმარილოს კიბეზედ. შვეიცარმა ლაქიას ჩამაბარა და თითონ წავიდა. ჩვენ შევედით სასტუმრო ოთახში, სადაც ყოველ ნივთს ემჩნეოდა აღურაცხველი სიმდიდრე. ლაქიამ მითხრა ქალბატონი ეხლავ გამობძანდებაო და დამანება თავი.

ლიდია მიხაილოვნა ხალათში, შინაურულად თავ გადავარცხნილი, ფერ-მკრთალი, დაღვრემილის თვალებით აჩრდილათ მეჩვენა, ის ძალას ატანდა თავის თავს გაღიმა, მაგრამ ღიმილი ტუჩებზედვე შერჩა. მხოლოდ ისევ მეგობრულად ჩამომართო ხელი, რაღაც წაიდუდუნა და მანიშნა, რომ დივანზედ დავმჯდარვიყავ.

მე შევყურებდი და თანაც ვფიქრობდი, რომ ცხოვრებას არ აუსრულებია მისთვის ის პირობანი, რასაც იგი ადრე უქადდა. უცბათ მომაგონდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა, მისი აქეთ გამომგზავრება ქორწინების შემდეგ. რა მხიარული, კმაყოფილი და ბედნიერი იყო მაშინ ლიდია. უფრო ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს. რა ქმნილა ადრინდელი ძალის და სიმხნევის გამომეტყველება? რა საშინლად მიხდიათ ფერი მის საუცხოო ლაჟვარდ თვალებს, რომელნიც ოდესმე სურვილით და იმედით ენთებოდნენ. დაქანცულობას და გულ-გრილობას ისე ღრმათ დაეტყო თავისი კვალი, რომ მისი სახე, ოდესმე მშვენიერი და მომხიბლავი, ეხლა თითქო მოხუცებულიყო. იფიქრებდი—იგი ბრძოლაში მოუძლურებულაო, მაგრამ ვისთან და რასთან? ვეკითხებოდი ჩემს თავს და საშინლად დამიწყო გულმა კვნესა, გამოუთქმელად შემებრალა იგი,—ეს ბავშვი, ჩინებული და კეთილი, მეტად იტანჯებოდა. მე ამ დროს ყოველივე მძულ-

და, რაც მას გარს ერტყა. Ყველას ჩემს წყევას ეუბნ-ზავნიდი, რამაც გაბედა და შეიძლო ამისი გაუბედურება. ლიდიამ შემომხედა... რამდენი ნაღველი, რამდენი მწველი ფიქრები იხატებოდნენ მის თვალებში! რაკი შემამჩნია, რომ მეც ეუყურებდი მაშინათვე თავი ჩაჰკიდა, გეგონებოდათ ჩემის ცქერისა შეეშინდაო და თითქოს განგებ მარიდებდა თავს, რომ არ ამომეკითხა მის თვალებში მისი უნუგეშო, გაუხარელი აწმყო. ზეგონებოდა სცხვენიანო მას თავის თავისა და იმ გარემოებისა, რამაც ასე მოაუძლურა. ველარ მოვითმინე დი გავექანე იმისკენ. Იმ წამს ჩემი თავი აღარ მახსოვდა, არ ვიცი რა უთხარ, რა სახელი უწოდე მას. ჩემი ამ გვარი ქცევა უკანასკნელი წვეთი იყო ამ აღსავსე ფიალისათვის. ლიდია თავის ნაზი, გამხდარი ხელებით პირველად გადამეხვია, თავი მხარზედ მომაყრდონა და ქვითინი დაიწყო.

Ცრემლმა თითქოს დაამშვიდა.

— ნუ თუ მაგ კაცმაც ვერ შეიძლო თქვენი გაბედნიერება? Არ მოგანიჭათ ის, რისაც სრული უფლება გქონდათ, მოგეთხოვნათ მისგან. Არ უყვარდით?... Ან... Თქვენ... შეიძულეთ ის?

— Უყვარდი!?— განაგრძო მან ამოოხვრით და მწარის ღიმილით, განა ბედნიერება და ცხოვრებით კმაყოფილება მხოლოდ მაგ გამოურკვეველ გრძნობაში მდგომარეობს, როდესაც იგი არ არის დამთბარი და შუქ-მოფენილი იმ უმაღლესი ჭეშმარიტებით, ურომლოთაც სიყვარული წარმოუდგენელია ჩვენისთანა, ხალხისთვის.

— მაგას როგორ ამბობთ ლიდია მიხაილოვნა? Ის ხომ გპირდებოდათ...

— მპირდებოდა... Ეჰ, რა საჭიროა ამაზედ ლაპარაკი, სთქვა ლიდიამ და უომედოთ გაიქნია ხელი. რა საჭიროა მიცვალებულის მოგონება? მაგაზედ ლაპარაკი საშინლად მიმძიმს და ან რისვის! Ამ გვარი შეცთომა ძნელად-ღა გასწორდება, სჯობს მის გარჩევაში არ შეხვიდე და მეტის-მეტად ღრმად არ ჩააკვირდე იმ უფსკრულს, რომელსაც ბედი ხშირად უსამართლოდ უწილადებს ხოლმე კაცს შთასანთქავათ... წავიდე? მოვშორდე?—ჩაფიქრებით წარმოსთქვა შემდეგ.—სად? რისთვის? ვის გავექცე? მერე ჩემს თავს სადღა წაუვალ? Იმ გვარ ბედნიერებას, რომლითაც ათასნი სცხოვრებენ და კმაყოფილდებიან მე არ ესაჭიროება, ჩემი სასურველი ბედნიერება-კი... სად არის? როდესაც აქაც ეი არ აღმოჩნდა? ზანა შემიძლიან [illegible] ეგი შესაძლებელია, როდესაც ამ გულში ყოველივე გაჭრა, დამახინჯდა და დაიმსხვრა? რა ვქნა? მორჩილებით წარმოსთქვა მან და ცდილობდა გაღიმა. Ცხოვრების დენას მივყვები. ჩემი თავი მიმინდია შემთხვევისათვის და ბედისწერისათვის როგორც უნდათ ისე განაგონ. მე არც არ შემიძლიან და არცარა მინდარა. და თუ ისინიც შეუბრალებელნი და უსამართლონი აღმოჩნდნენ, თუ ვერ ავიტან ჩემს მდგომარეობას, მაშინ ჩემს თავს მოვშორდები, ბოლო მოეღება ამ ერთ-გვარ და უფერულ ცხოვრების დენას. ღმერთო ჩემო! რისთვის? ხშირად ეკითხები შენს თავს. წარსულს რომ მოვიგონებ— რამდენი ნათელი სურათი წარმომიდგება,—რა კარგი იყო წარსული, მომავლით დაიმედებული, რა გაბედვით და სიხარულით შეჰყურებდა მას. Ეხლა მე იგი წარმოდგენილი მაქვს საუცხოო მზის დასავლის მოკაშკაშე სხივათ, აქ კი შენს გარს წყვდიადია, განუჭვრეტელი ღამის წყვდიადი და შენც მისცურავ ამ წუმპეში, მიესწრაფი სადღაც შორს, შორს ამ ნათელი სხივიდგან, რომელიც სამუდამოდ შთაინთქმის საუკუნეში, მომავალში-კი ერთი და იგივეა... რა უყოთ! Თუ ველარ შევსძლებ ამ გვარ ცხოვრების მიყოლას—შევსდგები და საკმარისია მხოლოდ ერთი მოძრაობა, რომ სამუდამოდ ველარ იხილო ის უნუგეშო ნათესადგური, სადაც სულით საპყარნი სდგანან და სხეულით სიკვდილს ელიან.

ლიდია უფრო გაფითრდა, მისი თვალები გამოკრთოდნენ ველური გამბედაობით. რამდენჯერმე აღელვებულმა გაიარა ოთახში და მერე ჩემ წინ შესდგა.

— Თქვენ იქნება მკითხოთ: რაღათ სცოცხლობს კაცი, რაღას მოელის სიცოცხლისაგან, როდესაც მან მიაღწია სასოწარკვეთილებამდინ, ყოველი იმედი დაჰკარგა, მომავალში მისთვის გაჭრა ნათელი სხივი. რაღათ ელტვის ამ სიცოცხლეს და მის მოშორება გულს უკლავს იქამდის, რომ თითქმის ავიწყდება ამ შეუბრალებელი სიცოცხლით მონაგარი ტანჯვა? სიცოცხლე გვი-ყვარს, გააგრძელა ლიდიამ მწარის ღიმილით. რაღაც უცნაური, უსაგნო სიყვარული სიცოცხლისა და იმ კაცისა, ანუ მისი აჩრდილისა, იმ გამოხატულებისა, რომელიც სამუდამოდ შთაიბეჭდა ჩემს გულში—შეიქმნა იმ ძაფად, რომელსაც, უფსკრულამდინ მიღწევნილი, კიდევ ვეჭიდები. ეს სწორედ აუხსნელია. Ამის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო ხშირად მძაგს ჩემი თავი, ესწყველი, ეხედავ ყოველს ჩემი სიცოცხლის სიცრუეს, მაგრამ მაინც მაგრა მიჭირავს ეს ძაფი, ხელის გაშვება არ შემიძლიან, ლონე არ შემწევს. ხან და-ხან ეს გამბედაობა იმედათ მეცველება და მაშინ ვგრძნობ, რომ რაღაც საშინლად მიყვარს, რიღასიც მოშორება გულს მიწყლავს და გამოუთქმელად მიმძიმს.

მის ხმაში იმოდენი ნაღველი და უიმედობა ისმოდა, რომ ძლივს შევიმაგრე ცრემლი. ზული მომიკვდა, ველარ შევსძელ იქ ყოფნა და მინდოდა ჩემის წასვლით ბოლო მომეღო ამ მდგომარეობისათვის.

— სად მიხვალთ? დარჩით, ჩვენთან ისადილეთ... თქვენ თავს აშორებთ, დაუმატა მან, და დამაცქერდა. გეშინიანთ თქვენი მშვიდობიანობის დარღვევა...

— შეუბრალებელი ხართ, ლიდია მიხაილოვნა...

— მაპატიეთ, მე თქვენ კარგად გიცნობთ, მესმის რასაც გრძნობს თქვენი გული. დარჩით. თქვენთან მეც შემიმსუბუქდება მწუხარება.

ზამომართო ორივე ხელით და დაღონებული შემომყურებდა, ტუჩები უთრთოდა, თითქოს რაღასაც ჩურჩულებდა, ვიღასაც უკანასკნელს სალამს უგზავნიდა.

— აი ისიც,—სთქვა ლიდიამ, ქმრის ფეხის ხმა რომ გაიგონა და სარკესთან გასწორდა. დარჩით,—წამჩურჩულა და მიეგება ქმარს. ლიპსკი ისეთივე მხიარული, როგორც წინედ, გარდამეხვია და მკითხა:

— სხვა, რიგორ მიდის საქმეები?

— თქვენი საქმეები როგორღაა?

— ნულარ მკითხამთ!—ისე დამტანჯეს, ისე დამტანჯეს ამ დაწყეველილმა საქმეებმა, რომ ლამის თავი დავანებო ყველაფერს! რა გინდა? ჰკითხა იმან შემოსულს ლაქიას.

— ფაბრიკიდგან მუშები გიახლნენ და გიცდიანთ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის,—ამდროს ყველას უთხარით, რომ შინ არა ვარ, გესმისთ? შინ არა ვარ.

— დილას აქეთია გელიან, რამდენჯერმე მოვიდნენ, უთხრა ლიდიამ. მაშინ დაგავიწყდნენ და ახლა შინ არა ხარ. ჰკითხე, რა უნდათ?

— მომაბეზრეს...

— ეგრე არ შეიძლება.

— არა, უმჯობესია სთქვათ, რომ სხვა-ფრივ არ შეიძლება. სიკვდილამდინ მიაღწევინებენ ეგვი კაცს. თუ არ გულ-გრილობით—ვერას გააწყობ. შენ! ჰკითხე. რა უნდათ?

— ბატონი ბძანდებით.

„შენ“-ის! თქმაზედ ლიდია შეკრთა: ისე ბრიყვად და ძლიერ დაიყვირა ლიპსკიმ.

— რისა შეგეშინდა, ჩემო საყვარელო?

ლიპსკიმ მიიკრა გულზედ ლიდია, გადაეხვია და აკოცა.

— სადილი? წავიდეთ ვისადილოთ.

სადილზედ ლაპარაკში გავერთვით ლიპსკი მიმტკიცებდა,—რა ძნელი იყო საქმის კეთება ამ „ბრიყვ ხალხთან.“

— გულითაც რომ გსურდეს სარგებლობის მოტანა, მაინც ხელს აიღებ, რა კი ნახამ, რომ ვერა გაგიწყვია რა მაგათთან.

— სცადეთ კია? ჰკითხე მე.

— აარა—მძაფრად მიპასუხა მის მაგიერ ლიდიამ. ეგ ამტკიცებს, რომ შეუძლებელია, რომ ჩვენ ჯერ მანდამდინ არ მიგვიხწევნიან. ჩვენი ხალხი მეტად ბრიყვი და თავხედია მისთვის, რომ განათლებული ხალხის მისდამი კეთილ-მოქმედება იგრძნოსო.

— აი, ბატონო, გაჯავრდა. სუყოველთვის ეგრე იცი. გაიგე ლიდია...

— უმჯობესია ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ. ღვინოს რატომ არ დალევთ? მკითხა ლიდიამ.

— მართლა! რატომ არა სვამთ? გაიმეორა ლიპსკიმ.

— ისენი მოგახსენებენ,—მოახსენა ლაქიამ — მოურავმა მთელი კვირის სამუშაო ფასი დაგვიჭირა, რადგან ვითომ რაღაც ჯარიმებია ჩვენზედაო.

— უთხარი მაგათ, რომ მე არა შემიძლიან რა და არცარა ვიცი რა, მოურავთან წავიდნენ.

— რატომ არა შეგიძლიან რა?—ჰკითხა კიდევ ლიდიამ. გამოჰკითხე—იქნება სულ ტყუილია. მე კარგად ვიცნობ შენ მოურავს. ყოველისფერი საზიზღრობა გამოვა იმის ხელიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო საყვარელო, შენ არ იცი სრულებით, თუ რაში მდგომარეობს საქმე. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ის მაგათ აგრე წრთვნის, არც შემიძლიან მისი წინააღმდეგი. რაღა მოურავი იქნება, თუ ყველა მუშა, ცოტა რამ უკმაყოფილობაზედ, მუქარას დაუწყებს, არას გაუგონებს, რაკი ჩემი მფარველობის იმედი ექნება. მარტო მე კი არ შემიძლიან გაძღოლა, რთული საქმეა, დიდი შრომა ეჭირვება. შენ ტყუილად გგონია, რომ ჩემი მოურავი ყოველ სისაძაგლის მომქმედია. მე შენ გარწმუნებ, ჩვენ რომ საქმე კარგად განვიხილოთ, შენვე გაამართლებ მოურავს.

— იქნება,—მორჩილებით წაიჩურჩულა ლიდიამ და თვალებში ცრემლი მოერია,

იმავე საღამოს გემით წამოვედი ს—დგან. რამდენიც ს-ა ვშორდებოდი იმდენი უფრო და უფრო შორს მოჩანდა მისი ნაპირები, ჩემს გარეშემო კი ნაღვლით იყო ყოველივე მოცული. ირგვლივ ბნელით შეიმოსა ნაპირები და თვალიდგან მომშორდა ს—ნი. მხოლოდ შორს აქა-იქაღა მოჩანდა სინათლე. ცა მოიღრუბლა და მძაფრი სუსხიანი ქარი მძვინვარედ ჰქროდა და აღელვებდა მდინარეს; გემი სწრაფად მიცურავდა. ქარმა უფრო მოუმატა ქროლა, მდინარე ჰღელავდა, მიაქანებდა თავის ზვირთებს და ახლიდა ჩვენს გემის კიდურზედ. ქარიშხლის გამო ყველანი ოთახებში შეეიდნენ, მხოლოდ მეღა დავრჩი გემის კიდურზედ და ვუყურებდი იმ მხარეს, სადაც იდგა ლიპსკიანთ მედიდური სასახლე, სადაც ფაბრიკებში მისი მაშინები მუშაობდნენ და ღამის მუშები სცვლიდნენ დღის მუშებს, სადაც ლიდია დასტიროდა თავის უბედურს, ფუჭად დაღუპულს სიცოცხლეს და სადაც მან დამარხა ყოველისფერი, რაც კი ძვირფასი და საუკეთესო იყო მის სიცოცხლეში.

ელენე

ჭკვის სალარო

— ვისაც ჰსურს მიაღწიოს რამე სახელს თავის სიცოცხლეში, უწინარეს ყოვლისა უნდა იყვეს თვით თავი თვისი.

(ალმა ტადემა).

— ძარგად იცან ის კაცი, რომელსაც სხვას აცნობ, რადგან მისი ულირსობა შენ ჩაგეთვლება სირცხვილად.

(გორაციი).

— მოვალეობის წინაშე კრთებიან ბედნიერებაც და სიმხნეეეც.

(შილლერი).

— ერთი და იმავე აზრის განმეორება ნიშნავს სიბრიყვეს.

(იპოლიტ ტენი).

ენისა დანაკოდარი ხმლისაგან უარესია,
ვერა მკურნალი ვერ არგებს რაგინდ მჯობისა ზესია.

(ქილილა და დამანა).

სახელი სიკვდილისაგან ხელ-უხლებელია.

(შილლერი).

ბევრის ბრძოლით დალალულსა ეჭირვება მოსვენება.

(აკაკი)

— ქალი არის ძლიერი მხოლოდ თვისის სიმშვიდით.

(შილლერი).

— მხოლოდ თვალები არიან გამცემნი დაფარულისა.

იქ იხატება ყოველი მიმოძრაობა სულისა!

(აკაკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრის“ ფოსტა

ქუთაისი. ბ-ნს ვასილ ბ—შვილს. მივიღეთ თქვენი ლექსი, სახელად „ჩემი მოგზაურობის მოკლე ისტორია„ № 7 და არ ვიცით რა გიპასუხოთ. ჩვენ ბევრი რამ გვინახავს, ბევრიც გაგვიგონია მაგრამ თქვენი ლექსის მზგავსი არამც თუ გაგვიგონია რამე, არამედ სიზმრადაც არ დაგვსიზმრებია. თქვენ, ბატონო მგოსანო, „სარკმელ ქვეშ მდგომო პოეტო,“ ან ჩვენ გვიგდებთ მასხარად, ან თვითონ თქვენს თავს, ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარი საბუთი არ მოგვიცია თქვენთვის მასხარად აგდებისა და ვეცდებით—არც მოგცეთ, ხოლო ის, რაც თქვენ თქვენს თავს დამართეთ, მტერიც არ გიზამდათ. მაგრამ დეე, თვითონ თქვენმა ლექსმა ილაღადოს ჩვენს მაგიერ!—

„მინამ მოსწავლე ვიყავი,
მიყვარდა თამაშობაო,
თამაშობით დავასრულე
მე ოთხი კლასის სწავლაო.“

მართალია, ბ-ნო მგოსანო, ოთხი კლასი ვერაფერი განძია გონებისათვის, მაგრამ, თუ კაცი კაცად ვარგა, ოთხი კლასიც დიდი რამ არის, მეტადრე «სარკმელ ქვეშ მდგომ პოეტისათვის», მაგრამ თქვენ თვითონვე ამბობთ:

„გამოველ ოთხ-კლასიანი
როგორც ნადირი ტყისაო,
გიჟი, რეგვენი, უტვინო,
უზრდელი გონებისა.“

სწორედ რომ სავაგლახო საქმე დაგმართებიათ, თუ „ოთხი კლასიანი“ თქვენ მაინც.

გიჟი, რეგვენი, უტვინო.

უზრდელი გონებისაო“—გამოხვედით; დიდად ვწუხვართ და თანა-ვუგრძნობთ თქვენ მართებულს წურომას:

აფთიაქშიდაც ალაგი
განგებით ჩემთვის მოსპაო,
უიმედობით ჩაგრული
ქვაზედ ვახლიდი ლოპსაო, !!!?)

კარგი ლოპი (лобъ, ესე იგი შუბლი) გქონიათ, თუ „ქვასაც ახალეთ“ და მაინც ლოპი ლოპად დაგრჩენიათ. ეს ხომ ასეა, მაგრამ ის ვერ გავიგეთ, როგორ აკადრეთ თქვენს თავს ასეთი ეპიტეტები:

გაურავებულ ცხენსავით
ყველას ვკარ თვითო წიხლიო,
მოყვრებსა თვალი დავუბსე (!!!)
მტერს ვანთხევიე სისხლიო!

ჩვენ ასე გვეგონა, რომ თქვენ მარტო მელანს ანთხევდით, თურმე „სისხლსაც ანთხევთ“, თვალებიც დაუბსეთ, გაურავებული ცხენივით წიხლებსაც ჭერით და რა თქმა უნდა, რომ

ეხლა კი მეტად შევშინდი
რა ვნახე უსაქმოს ბედი,
საწყალსა უსამართლოდ
მითხრეს ციმბირში წაბრძანდი.

მაგრამ თქვენდა საუბედურით არ წაუყვანიხართ: იქნება იქ სიცივეს ცოტა არის მაინც გაეგრილებინა თქვენი „ანთებული“ ფანტასმაგორია!

შევშინდი და უსაქმობას
ვარჩიე მეხაშობაო.

სწორედ რომ ჭკვიანად მოქცეულხართ, მაგაზედ უკეთესს ვერაფერს მოიგონებდა თქვენი მუზა თავის ჭიის დასაკმაყოფილებლად.. ბოლოს.

„ანასუნი და ჯოჯოხეთ...

თქვენს ლოპს გაურავებული ცხენს და ანასუნს და ჯოჯოხეთსაც!...

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ ვ. გუნია.

ვიქტორ-ჰუგო

ეკლიდ გე

თარგმანი ზანგისა.

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

მიიღება ხელის მოწერა თვითონ რედაქციაში, ნახევარ წლით ღირს 3 მანეთი.

CHOTA ROUSTHAVELI
Sa Vie et Son Œuvre
Notice par
J. Mourier
Librairie Tcharkviani Tiflis.

ПОДПИСКА
НА 2-е ПОЛУГОДІЕ 1886 ГОДА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ,“
издаваемую ВЪ ТИФЛИСѢ ПРОДОЛЖАЕТСЯ.
(III ГОДЪ ИЗДАНІЯ).

ПРОГРАММА газеты общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ, съ возможно широкимъ развитіемъ мѣстнаго отдѣла.

Подписная цѣна съ доставкою и пересылкою въ Россіи: на годъ 10 руб., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп., на одинъ мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Подписка принимается: въ **Тифлисѣ** въ конторѣ при **Редакціи**, въ С.-Петербургѣ въ книжномъ магазинѣ **„Новаго Времени.“** Иногородные адресуютъ свои требованія въ **Тифлисъ**, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“ Головинскій, № 27.

Редакторъ-издатель **А. В. Степановъ.**

ОТКРЫТА
ПОДПИСКА НА ГРУЗИНСКУЮ НЕДѢЛЬНУЮ ДУХОВНУЮ ГАЗЕТУ
„МЦКЕМСИ“
На 1886 г. ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ.

Съ 1-го января 1886 года будетъ выходить два раза въ мѣсяцъ отдѣльное прибавленіе къ „МЦКЕМСИ“ на русскомъ языкѣ подъ названіемъ „ПАСТЫРЬ“ на двухъ листахъ печатной бумаги, по программѣ-же и направленію „Мцкемси.“ Цѣль изданія сего прибавленія, кромѣ выполненія принятой программы: 1) сообщать содержаніе болѣе интересныхъ статеекъ, помѣщенныхъ въ „Мцкемси,“ русскому духовенству и обществу, и 2) знакомить русское духовенство и общество съ Грузіею—съ этимъ отдаленнымъ краемъ Россіи.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: „Мцкемси“ съ пересылкою на годъ. . . . 5 руб. — полгода. . 3 руб.
„Мцкемси“ съ отдѣльнымъ прибавленіемъ на русскомъ языкѣ съ пересылкою на годъ. . . . . 6 „ — полгода. . 4 „
Отдѣльно прибавленіе съ пересылкою на годъ . . . . . 3 „ — полгода. . 2 „

Подписка принимается исключительно въ редакціи „Мцкемси.“ Гг. иногородные благоволятъ адресовать свои требованія такъ: *Въ Квирилу, въ редакцію „Мцкемси.“*

Объявленія печатаются и печатныя объявленія приним. для разсылки по умѣренной цѣнѣ.

Редакторъ-издатель священникъ **Давидъ Гамбашидзе.**

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 13 іюля. Типографія Гр. Чарквіани. სტამბა გრ. ჩარკვიანისა.